



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაშაყმაძე-ვერონეზე დიანა თამაზის ასული



ვაშაყმაძე-ვერონეზე დიანა თამაზის ასული (4. XI. 1966, თბილისი, - 14. V. 2011, იქვე), მომღერალი (დრამ. სოპრანო) და თეორეტიკოს-ფიზიკოსი. იტალიელი მუსიკოსის ა. ვერონეზეს მეუღლე. 1987 დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი, ხოლო 1991 - თბილ. კონსერვატორია (პროფ. ნ. ანდლულაძისა და გ. კარიაულის კლასი). 1987 სწავლა განაგრძო ნიუ-იორკის კონსერვატორიაში (პროფ. მალასის

კლასი) და ოზიმოს ვოკალურ აკადემიაში. 1994-96 ვ.-ვ-მ გაიარა პროფ. სწავლების პროგრამა ნიუ-იორკის მანჰეტენის უმაღლეს სამუსიკო სკოლაში. ვ.-ვ-ს დებიუტი საოპერო სცენაზე შედგა ნიუ-იორკში, რ. ვ. უილიამზის ოპერაში „ბღვის მხედრები“; ვ.-ვ-ს მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ლედი მაკბეთი, აიდა, ამ-უჩენა (ჭ. ვერდის „მაკბეთი“, „აიდა“, „ტრუბადური“), ტურანდოტი (ჭ. პუჩინის „ტურანდოტი“), იზოლდა (რ. ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდა“) და სხვ., 2005 ვ.-ვ. წარმატებით წარსდგა ქართვ. მაყურებლის წინაშე აიდას პარტიით ვერდის ოპერა „აიდაში“. ჰქონდა ძლიერი, ყველა რეგისტრში თანაბრად მჟღერი, სავსე ბგერის მქონე ხმა. აღსანიშნავია ვ.-ვ-ს სამეცნ. მოღვაწეობა. ის ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა მათემატიკასა და თეორ. ფიზიკაში. ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო კვანძთა თეორიის გამოყენება ელემენტარული ნაწილაკების აღსაწერად. მიღებული აქვს 3 პატენტი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2009).

თბზ.: Same Problems of Particle Physics According to the Topological Models of Three-dimensional Manifolds, Tb., 2000.